



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000057976282520

№ 14-0

01 / მაისი / 2020 წ.

განკარგულება

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს № 47 განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას დაემატოს სამი ერთეული ავტომანქანა: 1. მარკა ვაზ 21214 (ნივა) ტიპი მსუბუქი, მაღალი გამავლობის სარ. ნომერი LXL 322, გამოშვების წელი 2005; 2. მარკა WOLKSWAGEN PASSAT, სარეგისტრაციო ნომერი SY286SS, გამოშვების წელი 1994; 3. მარკა NISSAN PATFAINDER, სარეგისტრაციო ნომერი SY268SS, გამოშვების წელი 1999; ხოლო ნუსხიდან ამოღებული იქნას სამასალე დანიშნულების -63 მორი, კერძოდ: ალვის ხე -39 მორი, კედარი -18 მორი, ფიჭვი -4 მორი, ცაცხვი- 1 მორი და კვიპაროსი -1 მორი.

მუხლი 2

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.


მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

კარლო ჯამბურია